ივლისი 2022

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ახალი ამბების მაცნე

USAID-ის პროგრამა დამსაქმებლები
პროფესიული განათლებისთვის

ბიზნეს ლიდერთა საბჭო - თანაინვესტირებისა და თანამონაწილეობის ეფექტური ინსტრუმენტი უნარების განვითარების სისტემაში

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხუთწლიანი პროგრამა, *დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის* ($24 მილიონი აშშ დოლარი), მიზნად ისახავს კერძო სექტორთან თანამშრომლობას ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და პროდუქტიული, მდგრადი და ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობებს შორის კავშირის დამყარებას, რაც შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას. კერძო სექტორთან პარტნიორობით, პროგრამა ხელს შეუწყობს დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის სტიმულირებას, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას ეკონომიკის ზრდადი სექტორებისთვის და შრომის ბაზრის უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი ადამიანური კაპიტალით.

კერძო სექტორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საკონსულტაციო კომპანია PMCG-სთან ერთად, პროგრამამ ჩამოაყალიბა *ბიზნეს-ლიდერთა საბჭო*, რომლის მიზანია ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების კრიტიკული საჭიროებების დაკმაყოფილება უნარების განვითარების პროგრამებში თანაინვესტირებისა და თანამონაწილეობის გზით. *ბიზნეს-ლიდერთა საბჭო* დაეხმარება კერძო სექტორს უნარების განვითარების შემზღუდველი ფაქტორების გამოვლენასა და ბაზრის საჭიროებებზე მორგებული რეაგირების მექანიზმების შემუშავებაში. *ბიზნეს-ლიდერთა საბჭო* არის კერძო სექტორის ჩართულობის ინსტრუმენტი, რომელიც გახდება ბიზნესის ხმა უნარების განვითარების ინოვაციური პროგრამების შექმნის პროცესში. საბჭოს წევრები იქნებიან პროგრამის ელჩები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძო სექტორის სტაბილურ ჩართულობას უნარების განვითარებაში.

ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ბიზნეს-ლიდერთა საბჭო ხელს შეუწყობს კომპანიების ჩართულობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. USAID-თან პარტნიორობის გზით, კერძო სექტორს შესაძლებლობა მიეცემა ინოვაციური საერთაშორისო პრაქტიკა დანერგოს დარგობრივი უნარების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურებას და რეგიონების განვითარებას.

ალექსი ალექსიშვილი
გენერალური დირექტორი და თავმჯდომარე, PMCG

„საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის, USAID-მა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ძალისხმევა, რომელიც კერძო სექტორთან აქტიურ პარტნიორობას გულისხობს. მხოლოდ გასულ წელს USAID-მა კერძო სექტორთან თანამშრომლობით 15 მილიონი აშშ დოლარის მობილიზება მოახდინა კერძო სექტორის მიერ გაღებული კონტრიბუციებით და ხელი შეუწყო კერძო სექტორის მიერ $10 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელებას. ამ ურთიერთობებზე დაყრდნობით, USAID-ის პროგრამა „დამსაქმებელი პროფესიული განათლებისთვის“ მხარს უჭერს ქართული ბიზნესის წახალისებას, რომლის ფარგლებშიც ხელს უწყობს ისეთი კვალიფიციური თანამედროვე ადამიანური კაპიტალის შექმნას, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს.

პიტერ ვიბლერი
USAID-ის მისიის დირექტორი

შინაარსი:

1 ბიზნეს ლიდერთა საბჭო

2 პრიორიტეტული ინტერვენციები:
კერძო სექტორის სტიმულირება უნარების განვითარების სისტემაში ჩართვისთვის

3 პროგრამის პარტნიორები

პრიორიტეტული ინტერვენციები

პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია პროგრამის ინოვაციური მიდგომა თანადაფინანსებაზე დაფუძნებული გრანტების მიმართ. აღნიშნული მიდგომის საშუალებით შესაძლებელია კვალიფიციური კადრების მომზადება ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორების მოთხოვნების შესაბამისად და პარალელურად, ამ პროცესში სამიზნე ჯგუფების - ახალგაზრდების, ქალების, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ეთნიკური უმცირესობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებების დაკმაყოფილება. პროგრამის განხორციელების შედეგად, სექტორულ დონეზე შეიქმნება ტრენინგის მიმწოდებელთა ქსელი, ასევე კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მდგრადი და ეფექტური მოდელი.

კერძო სექტორის სტიმულირება უნარების განვითარების სისტემაში ჩართვისთვის

პროგრამა დაეხმარება დამსაქმებლებს (ინდივიდუალური კომპანიები, ბიზნეს ასოციაციები და დარგობრივი ასოციაციები) მონაწილეობა მიიღონ უნარების განვითარებაში და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის პროცესში; გააძლიერონ პარტნიორობის მოდელები და კავშირები დამსაქმებლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უნარების განვითარებისა და პროდუქტიული/მდგრადი/ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობებს შორის. აღნიშნული პრაქტიკა შეიძლება დაკავშირებული იყოს დამსაქმებელთა ჩართულობასთან საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში; ასევე, უნარების სასწავლო პროგრამების განხორციელებაში; ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დანერგვაში და პირდაპირი კავშირების დამყარებაში პროგრამასა და დასაქმების შესაძლებლობებს შორის.

შემოვიდა **102** განაცხადი
გაფორმდა **17** ახალი პარტნიორობა

გრანტის თანხა -
466,035 აშშ დოლარი

პარტნიორების თანამონაწილეობა -
302,496 აშშ დოლარი

პროგრამის ფარგლებში საკმაოდ აქტიური სამუშაოები ჩატარდა კერძო სექტორის ჩართულობის სხვადასხვა მოდელების შემუშავების მიზნით.. შედეგად, 100-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა. საგრანტო განაცხადის მოთხოვნაზე *კერძო სექტორის სტიმულირება უნარების განვითარების პროცესში ჩართვისთვის.* კერძო სექტორის მხრიდან რეაგირებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 70-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა ჯანდაცვის, სამშენებლო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ტურიზმის, მომსახურებისა და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკის სექტორებიდან. პროგრამამ შეარჩია 17 პარტნიორი ორგანიზაცია, რომელთან ერთადაც იმუშავებს ინოვაციური მიდგომების შექმნაზე და გააძლიერებს კავშირებს უნარების განვითარებასა და დასაქმების შესაძლებლობებს შორის.



პროგრამის პარტნიორები

TRANSFORD LLC

შპს ტრანსფორდი

ქართული ლოგისტიკური სფეროს გაძლიერება ტვირთების მომსახურების გაუმჯობესების გზით

ბოთი, როგორც საქართველოს ყველაზე დიდი პორტი, სტრატეგიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქალაქია. შპს „ტრანსფორდი" დააარსა კომპანია Pace International-მა, რომლის სათავო ოფისიც მდებარეობს ნიუ-იორკში. კომპანიის საშუალო წლიური ტვირთბრუნვა 3 მილიონ ტონას აჭარბებს. პროგრამა კომპანია „ტრანსფორდთან" ითანამშრომლებს საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის შექმნაზე სატრანსპორტო და ლოგისტიკის სფეროში კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. აღნიშნულ საგრანტო აქტივობაში ძირითადი ფაქტორია კომპანია „ტრანსფორდის" პარტნიორობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია" და დარგობრივ ასოციაციებთან, როგორიცაა „საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია" და „ქალთა საერთაშორისო სავაჭრო და საზღვაო ასოციაცია". ერთად, ისინი განახორციელებენ ორი მოკლევადიანი სასწავლო კურსის პილოტირებას 42 მძღოლი-ოპერატორისა და დოკერისათვის პორტის ტვირთების გადაზიდვის მართვის სფეროში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ასოციაციების დაკავშირებით „ტრანსფორდთან", პროგრამა ქმნის ადამიანურ კაპიტალს, რაც აუცილებელია საქართველოს რეგიონული ლოგისტიკური ჰაბის პოტენციალის ზრდისათვის.

BK CONSTRUCTION

შპს ბიქეი კონსტრაქშენი

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია სამშენებლო სექტორში

„ბიქეი კონსთრაქშენი" არის საქართველოში წამყვანი სამშენებლო კომპანია, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით, 1000 ადამიანი ჰყავს დასაქმებული 11 სამშენებლო ობიექტზე. კომპანიას განხორციელებული აქვს ოცდახუთი სამშენებლო პროექტი, რაც ნიშნავს ჯამში ხუთასი ათასი კვადრატული მეტრის ფართის მშენებლობას. კომპანია ცდილობს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე უმაღლესი სამშენებლო სტანდარტების დანერგვას, რისთვისაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სამშენებლო სფეროში ადამიანური რესურსის განვითარებაა. „ბიქეი კონსთრაქშენის" პარტნიორია პროფესიული კოლეჯი „კონსტრუქტ 2", რომელთან ერთადაც იგი ახორციელებს პროექტს *ცნობიერების ამაღლების კამპანია ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით.* მარკეტინგული სტრატეგიის მიზანია მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების პოპულარიზაცია სამშენებლო სექტორში, რომლის განხორციელების შედეგად კოლეჯში სწავლის მსურველთა და რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა უკვე 20%-ით გაიზარდა.

გათბობა, გაგრილება და ვენტილაციის ინდუსტრიის ზრდის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში

ათბობა, გაგრილება და ვენტილაციის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის ფარგლებში, პარტნიორობა გაფორმდა შპს „მაგნიუმ +"-თან, რომელიც არის გათბობის, გაგრილების და ვენტილაციის სისტემების, ლიფტების, ესკალატორების, შენობების მენეჯმენტისა და ქარხნების ავტომატიზაციის სისტემების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი. პარალელურად, კომპანიის საერთაშორისო სასწავლო აკადემია, რომელიც აღჭურვილია ვენტილაციის ლაბორატორიითა და ტექნიკური ბიბლიოთეკით, მოკლევადიან სასწავლო და სატრენინგო პროგრამებს სთავაზობს დაინტერესებულ ადამიანებს. პროგრამები ავტორიზებულია სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, „მაგნიუმ+"-ის პროფესიული უნარების განვითარებაში ჩართულობის მოდელი მიზნად ისახავს გათბობის, გაგრილების და ვენტილაციის ინდუსტრიის განვითარებას პროფესიონალი ინჟინრების გადამზადებისა და რეგიონებში პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

MAGNIUM+ Building Technologies

შპს მაგნიუმ +

საქართველო მსოფლიო კინოინდუსტრიის ბაზარს უერთდება

შპს პოსტრედი

პროგრამის პარტნიორია შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენელი, კომპანია „პოსტრედი“, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალურ და იმერსიულ მედია მომსახურებას. კერძოდ, ხმა და მუსიკა ფილმისთვის, რეკლამისთვის, ვიდეო თამაშებისთვის და სხვა სატელევიზიო თუ ინტერაქტიული მედიისთვის. არსებობის ექვსწლიანი ისტორიის განმავლობაში, კომპანია თანამშრომლობს კინოინდუსტრიის ისეთ გიგანტებთან, როგორიცაა Paramount Pictures, HBO, Netflix, BBC, Hulu, A24, Apple TV+, The Farm Group, Formosa Group და სხვები. ბოლო ორი წლის განმავლობაში მოთხოვნა სტუდიის სერვისებზე 70%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა კადრებზე. სწორედ აქედან გამომდინარე, კომპანია ‘პოსტრედი’ ითანამშრომლებს პროგრამასთან სასწავლო ცენტრის “POSTRED Academy”-ს დაარსებაზე. ახალგაზრდებს ქვეყნის მასშტაბით შესაძლებლობა მიეცემათ აკადემიაში გაიარონ ხმის დიზაინისა და კინომუსიკის სასწავლო კურსები. საპილოტე პროექტის შემდეგ, კომპანია გეგმავს ტრენინგების დამატებას ხმის ოპერატორებისა და მუსიკალური პროდიუსერებისთვის.

მედია და კერძო სექტორი პროფესიული განათლებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობისთვის

ბიზნეს მედია ჯორჯია

„ბიზნეს მედია ჯორჯია” (BMG - www.bm.ge) წარმოადგენს მულტიმედიურ რესურსს, რომელიც თავს უყრის ახალ ამბებს ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ როგორც სატელევიზიო გადაცემებში, ისე - ონლაინ გამოცემაში. პროგრამასთან პარტნიორობით, BMG ცნობიერების ამაღლების კამპანიის საშუალებით, წარმართავს დიალოგს ფართო აუდიტორიისთვის. აღნიშნული კამპანია განხორციელდება კერძო კომპანიებთან მჭიდრო პარტნიორობით და აქცენტი გაკეთდება კერძო სექტორის ჩართულობის საუკეთესო, ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე. ასევე, დამსაქმებლების ჩართულობის ინოვაციურ მიდგომებზე და ხარისხიანი კარიერული კონსულტაციების მაგალითებზე. ამ მიზნით, BMG გამოიყენებს საკუთარ სატელევიზიო პროგრამა „საქმიანი დილა“-ს და ინტერნეტ რესურსებს - “Forbes კვირა”, “The Check Points”, ვებსაიტს და ყველა სოციალური მედიის არხს.

> *კერძო კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი კადრები, რომელთა პროფესიული უნარები შეესაბამება კონკრეტული სფეროს მოთხოვნებს. ეს არის საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, მოქალაქეთა კეთილდღეობის და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ფუნდამენტური ფაქტორი.*
>
> **გიორგი ისაკაძე**
> *მთავარი რედაქტორი და თანამფლობელი, ბიზნეს მედია საქართველო და Forbes Georgia*

აუცილებელია თითოეულმა ექთანმა მიიღოს შესაბამისი განათლება, რათა იზრუნოს კონკრეტულ პაციენტზე, გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები, გაწიოს ჯანდაცვის ხარისხიანი მომსახურება და უზრუნველყოს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.

გიორგი მინდიაშვილი
გენერალური დირექტორი,
ევექსი ჰოსპიტლები

საექთნო განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული კომპანიები ცდილობენ გადაჭრან კვალიფიციური საექთნო პერსონალის მწვავე დეფიციტის პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონებში. კომპანია „ევექსი" განახორციელებს ექთანი მენეჯერების სერტიფიცირებას ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით, რათა უზრუნველყოს დასაქმების უკეთესი პერსპექტივა, ხოლო „ჯეო ჰოსპიტალს"-ი, კომპანიის სასწავლო ცენტრის ფარგლებში, უზრუნველყოფს საექთნო პერსონალის სასწავლო საჭიროებებზე ორიენტირებული უწყვეტი საექთნო განათლების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

ევექსი ჰოსპიტლები

„ევექს ჰოსპიტლები" ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელია, რომელიც დღეისათვის წარმოდგენილია საქართველოს 6 რეგიონში 18 ჰოსპიტლით. დღესდღეობით, კომპანიაში 3000 ექთანია დასაქმებული, მათ შორის 250 მენეჯერულ პოზიციას იკავებს. სამწუხაროდ, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში სერტიფიცირებული ექთანი მენეჯერების დიდი დეფიციტია, არადა მათ შეუძლიათ წამყვანი როლის შესრულება ექთნების ზედამხედველობისა და ზრუნვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფაში. ის ფაქტი, რომ არ არსებობს აკრედიტებული კურსები ექთანი მენეჯერების სერტიფიცირებისათვის უფრო აღრმავებს პროფესიული უნარების არსებულ დეფიციტს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, „ევექსი" იწყებს პროფესიული განვითარების სისტემაში ჩართვის ახალ მოდელს, რათა წვლილი შეიტანოს ჯანდაცვის მომსახურებების ხარისხის ამაღლებაში. ექთნის პროფესიის მართვის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, „ევექსი" შეიმუშავებს სასწავლო პროგრამას და მენეჯერი ექთნების სერტიფიცირების სისტემას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება პაციენტის მკურნალობასა და კვალიფიციური ექთნების კარიერულ წინსვლაზე.

ჯეო ჰოსპიტალსი

„ჯეო ჰოსპიტალს"-ი ამბულატორიული და სტაციონარული რეგიონული კლინიკების ქსელია, რომელიც საქართველოს ხუთ რეგიონში ოპერირებს. დღესდღეობით, ქსელი აერთიანებს 14 ამბულატორიულ და 10 სტაციონარულ კლინიკას. ჯამში, კომპანიაში 1350 ექიმი და 1000 ექთანია დასაქმებული. 2020 წელს, „ჯეო ჰოსპიტალს"-ში დაარსდა სასწავლო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ექიმების გადამზადებას შესაბამისი სასწავლო პროგრამებით. სამწუხაროდ, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში კვალიფიციური და პროფესიონალი საექთნო პერსონალის დიდი დეფიციტია, განსაკუთრებით, რეგიონებში. მაგალითისათვის, ექთნების თანაფარდობა ექიმებთან არის 0.8, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდებულ სტანდარტს - 4:1 მნიშვნელოვნად ჩამორჩება. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არ არსებობს ექთნების უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემა, საექთნო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და განათლება დიდ გამოწვევას წარმოადგენს. „ჯეო ჰოსპიტალს"-ის ტრენინგ ცენტრის დახმარებით, ერთობლივი პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება საექთნო პროგრამების მომზადება, სასწავლო ცენტრებისათვის სათანადო პედაგოგიური რესურსის მობილიზება და კომპანიაში დასაქმებული 1000-ზე მეტი ექთნისათვის მაღალი ხარისხის, უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის უზრუნველყოფა.

საქართველოს ბიზნეს აკადემია და პსპ

კერძო სექტორის ცოდნის გამოყენება ფარმაცევტულ სფეროში დასაქმებულ პროფესიონალთა ახალი უნარების გასავითარებლად

საქართველოს ბიზნეს აკადემიასათან და „პსპ აფთიაქთან" თანამშრომლობით, პროგრამა მონაწილეობას მიიღებს ფარმაცევტული წარმოების და გაყიდვების სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებაში. „პსპ" გახლავთ წამყვანი კომპანია საქართველოს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში და მისი გრძელვადიანი სტრატეგიაა საქართველოს მასშტაბით ფარმაცევტების პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობა. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში დაინერგება ინოვაციური სასწავლო მეთოდები და მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების რეგიონებში განხორციელებას. აკადემიაში არსებული ინფრასტრუქტურა სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სტაჟირება გაიარონ რეალურ სამუშაო გარემოში, რაც გახლავთ პროფესიული უნარების განვითარებისა და შემდგომი დასაქმების წინაპირობა.

კავკასიის უნივერსიტეტი

აგრარული უნივერსიტეტი, კულინარიის აკადემია, თავისუფალი უნივერსიტეტი

ინოვაციური სასერტიფიკატო სასწავლო პროგრამა გასტრონომიის სფეროში

კავკასიის უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც 10 სკოლას/ფაკულტეტს აერთიანებს. უნივერსიტეტში 7000-მდე სტუდენტი 45 საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას ქართულ და ინგლისურ ენებზე სწავლობს. ბასკეთის კულინარიულ ცენტრთან (სან-სებასტიანი, ესპანეთი) და საქართველოს გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაციასთან ერთად, კავკასიის უნივერსიტეტი შექმნის პროფესიული უნარების განვითარების ინოვაციურ სასერტიფიკატო სასწავლო პროგრამას, რომელიც იქნება საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნილი პროფესიული გადამზადების პირველი პროგრამა საქართველოს გასტრონომიის სფეროში.

Hospitality Management Institute

ქართული კულინარიის საერთაშორისო აღიარებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა

საქართველოს კულინარიის აკადემიის მისიაა ქართული სამზარეულოს საერთაშორისო აღიარებისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიის აკადემიამ და თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლამ (ESM) კერძო სექტორთან პარტნიორობით დაიწყო ახალი სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება - კულინარია და რესტორნის მენეჯმენტი. პროგრამის შემუშავების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს, McDonald's Georgia-ს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს და სტრადას ქსელს შორის. გარდა ამისა, პროექტში ჩართული იქნება 20-მდე კვების ობიექტი. საქართველოს კულინარიის აკადემია დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ პროგრამებს კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის მომზადების სფეროში; ხოლო სასწავლო პროცესის განმავლობაში, კულინარიის აკადემია იყენებს მიდგომას „ისწავლე კეთებით" და სტუდენტებს უზრუნველყოფს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით და ყველა საჭირო აღჭურვილობითა თუ პროდუქტით.

სასტუმროების და ტურიზმის სფეროში სამომავლო ტენდენციების ხელშეწყობა პროფესიული უნარების განვითარების გზით

პროგრამისა და Hospitality Management Institute--ის პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნება სასტუმროების და ტურიზმის სფეროში ტრენერთა ტრენინგის კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის სტანდარტის გაუმჯობესებას სექტორში არსებულ ორ მთავარ კომპონენტში - სასტუმროს ოპერირება და ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრადი მართვა. ინსტიტუტი გეგმავს აღნიშნული ათთვიანი აქტივობა განახორციელოს საერთაშორისო პარტნიორების - Les Roches Hospitality School-ისა და ლუცერნის გამოყენებითი მეცნიერებებისა და ხელოვნების უნივერსიტეტის (Lucerne University of Applied Sciences and Arts) უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით.

შპს რედბერი

ახალი შესაძლებლობები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის

„რედბერი“ მეგობრების ჯგუფმა დააარსა 2014 წელს როგორც კომპანია, რომელმაც ციფრული ტექნოლოგიების უპირატესობები შესთავაზა საქართველოში მოქმედ ბიზნესებს. კომპანიამ საქმიანობა საერთაშორისო ბაზარზეც გააფართოვა. დღესდღეობით, „რედბერიში'' 115 მაღალკვალიფიციური თანამშრომელია დასაქმებული და იგი მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის ციფრულ მარკეტინგს, ვებისა და მობილური სერვისების განვითარებას, პროდუქტის დიზაინს, სოციალური მედიის მართვას, მარკეტინგულ მომსახურებას და კრეატიული კამპანიების დიზაინს. საინფორმაციო კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების (ICT) სექტორი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. სამწუხაროდ, ბაზრის სწრაფი ზრდის პარალელურად არ იზრდება კვალიფიციური ვებ-დეველოპერების რიცხვი. თუმცა აშკარად გაზრდილია მოთხოვნა საშუალო და მაღალი დონის დეველოპერებზე. ამ დეფიციტის აღმოფხვრისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, პროგრამამ პარტნიორობა გააფორმა კომპანია „რედბერისთან''. აღნიშნული პარტნიორობა ხელს შეუწყობს სწრაფი, ეფექტური და შედეგებზეორიენტირებული სტაჟირების პროგრამის განვითარებას, რაც მოტივირებულ ადამიანებს დაეხმარება თავად შეიმუშაონ მომსახურების მთელი ციკლი და დახვეწონ საკუთარი შესაძლებლობები.

მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი კომპეტენციები ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის

პროგრამამ პარტნიორობა გააფორმა კომპანიასთან „Start Business Solutions'', რომელიც აქტიურად არის ჩართული ბიზნეს იდეების კომერციალიზაციის სფეროში და ეხმარება სტარტაპებს სათანადო ბიზნეს გეგმების მომზადებაში, ბაზართან დაკავშირებასა და სათანადო შეფასებების განხორციელებაში. კომპანიის პორტფელი მოიცავს 450-ზე მეტ წარმატებული თანამშრომლობის პროექტს კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო უწყებებთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს საბანკო ასოციაცია

პროფესიული უნარების განვითარების პლატფორმის შექმნა ფინანსურ სექტორში ადამიანური კაპიტალის გასაძლიერებლად

ფინანსური სექტორი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური სფეროა და მის 93%-ს კომერციული ბანკები წარმოადგენს. საქართველოს საბანკო ასოციაციას 14 წევრი ბანკი ჰყავს რაც საქართველოს ფინანსური სექტორის 95%-ს შეადგენს. გარდა ამისა, ასოციაციაში შედის 39 ლიცენზირებული მიკრო საფინანსო ინსტიტუტი, 18 სადაზღვევო კომპანია და 5 საკრედიტო კავშირი. როგორც ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და ტექნოლოგიურად განვითარებული სექტორი, მასში დაახლოებით 29,500 ადამიანია დასაქმებული, თუმცა პროფესიონალი და კვალიფიციური თანამშრომლების დეფიციტი მუდმივად არსებობს. პროგრამის მხარდაჭერით, ასოციაციამ განახორციელა ინოვაციური და მდგრადი მოდელის პილოტირება. აღნიშნული მოდელი მიზნად ისახავს შექმნას პროფესიული უნარების განვითარების პლატფორმა, რომელიც დააკმაყოფილებს ფინანსური სექტორის საჭიროებებს ადამიანური კაპიტალის კუთხით.

Start Business Solutions

Travel Guide, GeoLab

კომპანია იმუშავებს თავის პარტნიორებთან GeoLab • ჯეოლაბი და Travel Guide. Just Go - სთან ერთად, რათა შეიქმნას პროფესიული უნარების განვითარების ინოვაციური მოდელი. პროექტის მიზანია შექმნას სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რაც ადამიანებს მოამზადებს მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი პოზიციებისათვის. საერთაშორისო და ადგილობრივ რეიტინგებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, პროექტი სამ სხვადასხვა კარიერულ მიმართულებაზე იმუშავებს, მათ შორის ბიზნესის მიერ მოთხოვნად ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: კონტენტის შექმნა, მონაცემთა ანალიტიკა და ICT პროექტის მართვა.

ადამიანური კაპიტალის განვითარება ფოთის პორტის გაფართოების პროექტისთვის

ფოთში დაფუძნებული სამშენებლო და მასალების კომპანია შპს „პრაიმ ბეტონი'' ახორციელებს ფოთის პორტის გაფართოების პროექტს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურისთვის''. გაფართოება გულისხმობს ახალი ღრმაწყლოვანი მულტიფუნქციური პორტის მშენებლობას, რის შედეგადაც, ყოველწლიურად პორტს ექნება 50 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის შესაძლებლობა. პროექტის მართვას უზრუნველყოფს საერთაშორისო ექსპერტთა დიდი გუნდი ოთხას ადგილობრივ კონტრაქტორთან ერთად. პროექტის განხორციელება დაგეგმილია შემდგომი სამი წლის განმავლობაში. სამშენებლო სექტორში კვალიფიციური სამუშაო ძალისა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, პროგრამამ განახორციელა თანამშრომლობის პლატფორმის პილოტირება, რომლის ფარგლებშიც ურთიერთობა დამყარდა სამშენებლო კომპანიასა და ევროპის ბიზნეს ასოციაციას შორის და ეს გახდა საპილოტე პროექტისა და სამშენებლო სექტორში მოღვაწე ბიზნესის დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდი. აღნიშნული მიდგომის გამოყენებით, შპს „პრაიმ ბეტონი'' პირდაპირ იქნება ჩართული პრაქტიკული პროფესიული სასწავლო კურსის შექმნაში, რომლის მიზანიც იქნება სამშენებლო სექტორში დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი პროფესიული უნარების გაუმჯობესება.

შპს „პრაიმ ბეტონი'' და ევროპის ბიზნეს ასოციაცია

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა მოთხოვნადი უნარების განვითარებისთვის

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ოთხმოცზე მეტ წამყვან ქართულ ბიზნესჯგუფს და ჰოლდინგს აერთიანებს. პროგრამის დახმარებით, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია საერთაშორისო პარტნიორობას დაამყარებს ფინეთის წამყვან არაკომერციულ საგანმანათლებლო და სატრენინგო კომპანიასთან შპს „Omnia Education Partnerships''. აღნიშნული პარტნიორობის მიზანია ახალი, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება წევრი კომპანიებისათვის ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ასოციაცია ხელს შეუწყობს მეწარმეობისა და ახალი პროდუქტის განვითარების საკითხებში საგანმანათლებლო მოდულების დანერგვას, ფინური საგანმანათლებლო სისტემის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ავტომომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ცხრა შვილობილი კომპანიითა და 2000-ზე მეტი თანამშრომლით, „თეგეტა მოტორსი" ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგია საქართველოში. თავისი გამოცდილების გამოყენებით და ინოვაციების დანერგვით, კომპანია ცდილობს დაამკვიდროს მომსახურების უმაღლესი სტანდარტი და დანერგოს ქვეყანაში ავტომომსახურების ახალი კულტურა. შვილობილი კომპანიის, „თეგეტა აკადემიის" მეშვეობით, თეგეტა კომპანიებს ეხმარება გააუმჯობესონ სერვისები, ხელი შეუწყონ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, წვლილი შეიტანონ სამუშაო ძალის განვითარებაში და გაუზიარონ ახალი ცოდნა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. პროგრამის მხარდაჭერით, „თეგეტა აკადემია'' -ს მიერ შექმნილი საპილოტე მოდელი ითვალისწინებს „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებისათვის კარიერული ზრდის და დასაქმების ახალ შესაძლებლობებს მოქნილი, ონლაინ კვალიფიკაციის ამაღლების პლატფორმის მეშვეობით.

თეგეტა მოტორსი/თეგეტა აკადემია

ზ. ფალიაშვილის ქ. 85, კორპ. 1, მე-2 სართ. 0162 თბილისი, საქართველო
shorturl.at/nrALX
skillsdevelopment@iesc.org
https://www.facebook.com/USAIDSkillsProgram
https://iesc.org/program/usaid-industry-led-skills-development/